GICE
საქართველოს დებატებისა
და განათლების ინსტიტუტი

მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში

თვისებრივი კვლევის ანგარიში

EFA
განათლება
ყველასათვის
საქართველო

თბილისი, 2017

კვლევა განხორციელდა "კოალიცია განათლება ყველასათვის საქართველოს" ინიციატივითა და დაფინანსებით.

კოალიცია "განათლება ყველასათვის - საქართველო" 2013 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა. მასში გაწევრიანებულია განათლების სფეროში მოღვაწე 15 სხვადასხვა თემატური პროფილის მქონე, ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც იზიარებენ "განათლება ყველასათვის" მსოფლიო დეკლარაციის პრინციპებს. კოალიცია ადვოკატირებას უწევს "განათლება ყველასათვის" მიზნების განხორციელებას საქართველოში. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ წვდომას ჩვენს ქვეყანაში. კოალიცია სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო მოძრაობის გლობალური კამპანია - განათლებისთვის წევრია. საერთაშორისო კოალიციის მისიაა ზეგავლენა მოახდინოს მთავრობაზე, რათა მათ უზრუნველყონ თითოეული ადამიანის უფლების რეალიზება მიიღოს ხარისხიანი განათლება. მოძრაობა მოქმედებს იუნესკოს ეგიდით, განათლება ყველასათვის დეკლარაციის ფარგლებში (www.campaignforeducation.org). კოალიცია საქმიანობას ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

www.efageorgia.ge **www.facebook.com/EFAgeorgia**

შინაარსი

კვლევის შესახებ	4
მეთოდოლოგია	5
ძირითადი მიგნებები	7
ჩართულობის შემთხვევები	8
მშობლის ჩართულობის ბარიერები და რეკომენდაციები	14
მასწავლებელთა მოსაზრებები	15
მშობელთა მოსაზრებები	16
პრობლემები და ბარიერები სკოლაში	16
აღწერილობითი ანგარიში (თითოეული ფოკუს ჯგუფის მოკლე ანგარიში)	18
კახეთი	18
იმერეთი	20
სამცხე-ჯავახეთი	20
მცხეთა-მთიანეთი	22
თბილისი 1	23
თბილისი2	24
შიდა ქართლი	25
ფშავ-ხევსურეთი	26
ქვემო ქართლი	26
კახეთი	28
აჭარა	28

კვლევის შესახებ

ტექნიკური ინფორმაცია

პროექტის სახელწოდება	მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში
პროექტის დაწყების პერიოდი	მარტი
პროექტის მიმდინარეობის ხანგრძლივობა	4 თვე
პროექტის ბენეფიციარები	საქართველოში მცხოვრები მოსწავლეები, მშობლები, ახალგაზრდები, მასწავლებლები
პროექტის განხორციელების ადგილი	საქართველო
პროექტში მონაწილეების რაოდენობა	132 ფოკუს ჯგუფის მონაწილე (11 ფოკუსური ჯგუფი)
პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი გუნდი	საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი

კვლევის ამოცანებია:

- გამოიკვეთოს მონაწილეთა წარმოდგენები/აზრი ადგილობრივ დონეზე ზოგად განათლებაში არსებული გამოწვევების/პრობლემების შესახებ (განსაკუთრებული აქცენტი, სკოლის მართვის პროცესებში მშობელთა თანამონაწილეობაზე);
- მშობელთა ჩართულობის კუთხით გამოიკვეთოს კარგი პრაქტიკის მაგალითები, კონკრეტული შემთხვევები;
- გამოვლინდეს ადგილობრივ დონეზე აქტიური მოქალაქეები, სტუდენტები, ორგანიზაციები, რომლებსაც აწუხებთ ზოგადი განათლების პრობლემები.

მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდების გამოყენებით და მოიცავდა შემდეგ სამიზნე სეგმენტებს: საქართველოში მცხოვრები მოსწავლეები, მშობლები, ახალგაზრდები, მასწავლებლები.

კვლევა განხორციელდა ფოკუსჯგუფების კვლევის მეთოდით. თითოეული ჯგუფი შედგებოდა 12 მონაწილისაგან.

ფოკუსჯგუფების დაგეგვმისა და ჩატარებისას გათვალისწინებული იყო რამდენიმე კრიტერიუმი:

გეოგრაფიული-კვლევის ფარგლებში მოხდა ფოკუსჯგუფების ჩატარება ყველა ტიპის დასახლებაში - დიდი ქალაქი, პატარა ქალაქი, დაბა, სოფელი (იმისათვის რომ ყოფილიყო სრული გეოგრაფიული რეპრეზენტაცია).

რესპოდენტების დაჯგუფება ხდებოდა მათი სტატუსის მიხედვით, ასაკობრივ ჭრილში, კერძოდ კი მასწავლებლები ჯგუფდებოდნენ მშობლებთან, ხოლო მოსწავლეები ახლგაზრდებთან, ეს მიდგომა უზრუნველყოფდა რესპონდენტების მაქსიმალურ გახსნილობას საკვლევი საკითხების მიმართ.

რესპონდენტთა ასაკი	მშობელი 26-64 წელი	მასწავლებელი 27-72 წელი	მოსწავლე 14-17 წელი	ახალგაზრდა 18-35 წელი

ფოკუსური ჯგუფების განაწილება რეგიონებისა და დასახლების ტიპების მიხედვით

რეგიონი	ჯგუფების რაოდენობა	დასახლების ტიპი	ქალაქი/ სოფელი
კახეთი	2 ფოკუსური ჯგუფი	ქალაქი	თელავი, გურჯაანი, ყვარელი
იმერეთი	1 ფოკუსური ჯგუფი	დაბა	შორაპანი
სამცხე-ჯავახეთი	1 ფოკუსური ჯგუფი	ქალაქი	ახალციხე
მცხეთა-მთიანეთი	1 ფოკუსური ჯგუფი	ადმინისტრაციული რაიონი	დუშეთი
თბილისი	2 ფოკუსური ჯგუფი	ქალაქი	თბილისი
შიდა ქართლი	1 ფოკუსური ჯგუფი	ადმინისტრაციული რაიონი	კასპი
ფშავ-ხევსურეთი	1 ფოკუსური ჯგუფი	სოფელი	ჩარგალი
ქვემო ქართლი	1 ფოკუსური ჯგუფი	ქალაქი	მარნეული
აჭარა	1 ფოკუსური ჯგუფი	ქალაქი	ბათუმი

ფოკუსური ჯგუფების განაწილება რაოდენობრივად სტატუსის მიხედვით

51	27	16	38
მშობელი	მასწავლებელი	მოსწავლე	ახალგაზრდა

კვლევის სახელმძღვანელო კითხვარი იხილეთ დანართი #1-ის სახით.

ძირითადი მიგნებები

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მომხდარიყო მშობლების ჩართულობის პოზიტიური ქეისების იდენტიფიკაცია სასკოლო ცხოვრებაში, თუმცა კვლევის საკითხები გარდა ამისა, მოიცავდა სასკოლო ცხოვრების ზოგად შესწავლას და მისი წარმატებული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისა თუ ხარვეზების იდენტიფიკაციას სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებში.

კვლევის შედეგად

- უნდა აღინიშნოს რომ სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას აქვს არასტრუქტურიებული, სპონტანური ხასიათი;
- რეალურად სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობა შეიძლება განიხილებოდეს როგორც კერძო ინიციატივა უფრო, ვიდრე ფორმულირებული ქცევითი სტრუქტურა;
- სასკოლო ჩართულობასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული მოთხოვნები, და შეიძლება ითქვას მოთხოვნილებები, როგორც მშობლების ისე მასწავლებლების მხრიდან, თუმცა საბოლოო ჯამში არ არსებობს კონკრეტული პატერნები, რა ფორმით შეიძლება ეს ხდებოდეს;

შესაბამისად ამ ეტაპისათვის სასკოლო ჩართულობა მშობლების მხრიდან გამოიხატება:

1. ბავშვის მეცადინეობის პროცესში ჩართულობით
2. მასწავლებლებთან ფორმალური ტიპის კომუნიკაციით
3. ექსკურსიებზე დასწრებით და ჩართულობით

სხვა ყველა ტიპის ჩართულობა, სკოლაში თუ სასკოლო ცხოვრებაში სპონტანური ხასიათისაა და წარმოადგენს კერძო ინიციატივებს. მშობლების ჩართლობის შემთხვევები, რომლებიც ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლინდა უმეტესწილად ეხება დაწყებითი საფეხურის წარმომადგენლებს. კერძოდ, ჩართულობის 60% გვხვდება დაწყებითი კლასის მშობლებთან, 40% საბაზო საფეხურზე მყოფ მოსწავლეთა მშობლებთან და არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა საშუალო საფეხურის მშობლებთან.

დღეის მდგომარეობით არსებული ფორმატი, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებაში მშობლების ჩართულობა არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. არ არსებობს ფუნქციური გეგმა, რომლის მიხედვითაც მშობლებს შესაძლებლობა ექნებოდათ ჩართულიყვნენ სასკოლო ცხოვრებაში.

საბოლოოდ სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობა დამოკიდებულია, ერთი მხირვ მის კეთილ ნებაზე, ხოლო მეორეს მხრივ სკოლის კეთილ ნებაზე მისცეს რაიმე სახის აქტივობის განხორციელების საშუალება.

ჩართულობის შემთხვევები

კვლევის შედეგად მაქსიმალურად მოხდა გარკვეული ტიპის პოზიტიური ქეისების ამოღება თითქმის ყველა რეგიონიდან. ქვემოთ მოყვანილია კონკრეტული აქტივობების მაგალითები.

კახეთი

საჯარო სკოლების სოფლების მაგალითი

ერთ-ერთ კლასში მოსწავლეებს ჰქონდათ სისტემატიური დავალება სხვა მოსწავლეებისათვის სხვადასხვა პროექტების წარდგენის სახით, რომლის განხორციელებისთვისაც მოსწავლეს სჭირდებოდა მშობლის დახმარება: მატერიალური, ტექნიკური თუ სხვა რაიმე სახის. ამითი ყველა მშობელი მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ერთვებოდა სასკოლო ცხოვრებაში და როგორც წესი იყო კმაყოფილი.

კახეთის ერთ-ერთ სკოლაში მშობელმა გაიარა არაფორმალური განათლების ერთ-ერთი საინტერესო პროგრამა და გადაწყვიტა საკუთარი ინიციატივით შვილის სკოლაში მისი იმპლიმენტაცია:

> ჩემმა ინიციატივამ, მესწავლებინა ფაკულტატური სახით ჩემი შვილის კლასელებისათვის ძალიან დიდი ნაყოფი გამოიღო, მე მალევე მივიღე შეთავაზება სკოლიდან საგნობრივი საათების ჩატარების შესახებ და ახლა უკვე სასწავლო ნაწილი ვარ და ეს სულ რაღაც 2 წელიწადში.

იმერეთი

საბაზო საფახურის მოსწავლის მშობლის (მამის) მაგალითი

> მე თვითონ ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა, სადაც ახლა ჩემი შვილი დადის და მინდოდა ისეთი აქტივობა შემეთავაზებინა ბავშვებისთვის, როგორიც ჩვენ გვქონდა: ხეების დარგვა, ეზოს დასუფთავება, ხეზე მუშაობა და გვქონდა კიდეც ამის მცდელობა, მაგრამ ბევრი დაბრკოლება დაგვხდა... ნერგების შესაძენად თანხები ვერ მოვიძიეთ, ტრანსპორტის არ არსებობის გამო ბავშვები ვეღარ ვერ რჩებოდნენ გაკვეთილების შემდეგ და მსგავსი ტიპის პრობლემები.

სამცხე-ჯავახეთი

დაწყებითი კლასის მოსწავლის მშობლის მაგალითი

> ერთ-ერთ კლასში მასწავლებელმა მშობლებს მოსთხოვა შვილების დახასიათება. მას შემდეგ, რაც ბავშვის დახასიათება გავაცანი მასწავლებელს, ჩვენს შორის ისეთი ურთიერთობა დაიწყო, რომ მე ჩემდა უნებურად ჩავერთე სასკოლო ცხოვრებაში. მომდიოდა შეტყობინებები შვილის სასკოლო აქტივობებთან დაკავშირებით, სადაც მისი უნარები შესაბამისად იყო გამოყენებული და მეც მუდმივად ვაკეთებდი რეაგირებას, ვაძლევდი რეკომენდაციებს, რჩევებს ბავშვიდან და შესაბამისად ვგეგმავდით ერთად სხვადასხვა საქმიანობებსა თუ ღონისძიებებს. (დაწყებით საფერხურზე).

ერთ-ერთმა მშობელმა ასევე რამდენიმე პროექტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, რომლის საშუალებითაც სკოლამ მოიპოვა სხვადასხვა დამატებითი აქტივობებისათვის დაფინანსება.

ლუშეთი

თემის ახალგაზრდას ჰქონდა ბევრი კარგი ინიციატივა:

> მე ისე მიყვარს ჩემი მხარე და მინდა ყველაფერი კარგად იყოს, რომ საკუთარი ძალებით გავაკეთე სკოლაში ჯერ „რა,სად,როდის“ ჩემპიონატი, შემდეგ მანსანკანი, ვაწყობდი შეხვედრებს სხვადასხვა თემის ექსპერტებთან, მაგრამ ბოლოს სკოლამ ვეღარ შემიწყო ხელი.

კახეთი - თელავი

ქალაქების მაგალითი
ბიოლოგიის მასწავლებელი გვაცნობს მშობლების ჩართვის მისეულ ხერხს:

> მე ყოველთვიურად ვაძლევ მოსამზადებლად პროექტებსა თუ პრეზენტაციებს, რომელიც მშობელმა და მოსწავლემ ერთად უნდა მოამზადონ, ბავშვი ისეთი დამუხტულია ამა თუ იმ თემით და ამ დავალებით, რომ ის თავად, აბსოლუტურად ბუნებრივად რთავს მშობელს საკუთარი თემის მომზადებაში.

ერთ-ერთი ფეხბურთელი მშობელი (დედა) გვიზიარებს თავის გამოცდილებას სასკოლო ცხოვრებაში ჩართვასთან დაკავშირებით:

> ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა მთელს ჩემს თემში, ჯერ კიდევ სანამ ჩემი შვილი შევიდოდა სკოლაში მანამდე ჩამოვაყალიბე სპორტკლუბი, სადაც სკოლის მოსწავლეები ჩავრთე ფეხბურთის თამაშში.

ბათუმი

მშობელი (მამა) მუდმივად ჩართულია მისი შვილის სკოლის ფიზიკური თუ სხვა აქტივობების ორგანიზებაში:

> მე მუდმივად ვცდილობ ჩემი რესურსები მოვახმარო ჩემი შვილის სკოლას. როცა კი არის შესაძლებლობა ვრთავ სხვადასხვა სახის სპორტულ აქტივობებში. მუდმივად ვაწვდი ინფორამციას ყველა საინტერესო ოლიმპიადაზე და ვეხმარები რეგისტრაციაში როცა კი არის შესაძლებლობა ვუთმობ ჩვენს (ბსუ-ს თანამშრომელია) დარბაზს სპორტული აქტივობებისა თუ შეჯიბრებებისათვის.

ჩარგული

მშობლები ყოველდღიურ კავშირში არიან მასწავლებლებთან და შესაბამისად ყველა სახის საგანმანათლებლო აქტივობას აკადემიური თუ არაფორმალური მიმართულებით ერთობლივად და შეთნხმებულად ახორციელებენ

კასპი

მშობელი და მასწავლებელი გვიზიარებენ მოსწავლეების სასკოლო პროექტების შესახებ:

მასწავლებელი:

> რუკა გვჭირდებოდა და ვერ ვყიდულობდით და ერთმა მოსწავლემ თავის მშობელს დაახაზინა. მთელი კლასი იყო ძალიან მადლიერი და აღფრთოვანებული, შემდეგ ყველა მოსწავლემ ნელ-ნელა გაგვაცნო საკუთარი მშობლების შესაძლებლობები და დაიწყეს მათი გამოყენება სხვადასხვა პროექტების მომზადების დროს.

მშობელი:

> მე ისეთი კმაყოფილი ვიყავი, რომ ასე თითქოს იძულებით, მაგრამ სისტემატიურად ვერთვებოდი ჩემი შვილის საქმიანობაში და თან ერთად გვიწევდა მზადება, რომ სულ კარგ ხასიათზე ვდგებოდი ამ დავალებების გამო.

მარნეული

მშობლებს ბევრი იდეები აქვთ მშობლების ჩართვის სისტემებთან დაკავშირებით, მაგრამ მხოლოდ ერთი მაგალითი:

> ჩვენმა კლასმა გადაწყვიტა დასწრებოდა გაკვეთილებს გარკვეული სისტემატიურობით, მაგრამ არ იყო სათანადოდ აღქმული ეს ყველაფერი და შევწყვიტეთ.

თბილისი

რამდენიმე ახალგაზრდა თბილისის სკოლებში ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, ისიც ძირითადად სხვადასხვა დონორების დაფინანსებით, სხვა სახის ჩართულობა არ ფიქსირდება.

მასწავლებლის (დამრიგებლის) ინიციატივა:

> სკოლაში გვაქვს ტრადიცია მოვიწვიოთ მშობლები, თავიანთი პროფესიიდან გამომდინარე წარსდგნენ ბავშვების წინაშე გასაცნობად მსახიობები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვები.

ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მშობელთა თვითინიციატივით შეიქმნა მასწავლებლების და მშობლების საბჭოები.

სკოლებთან გაერთიანდნენ „მხიარული სტარტები“, „რა, სად, როდის“ თვითდაფინანსებით,
მოხდა გრანტის მოპოვება ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის შესწავლის პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ
ასევე კათედრებმა ჩაატარეს კონფერენციები კარგი სიმბოლური საჩუქრებით

- გასვლითი ღონისძიებები
- სასკოლო ოლიმპიადები
- ჩემპიონატები

მშობლის ჩართულობის ბარიერები და რეკომენდაციები

რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი მოიცავს კონკრეტული ტიპის მიდგომებისა თუ ქცევითი პატერნების შემუშავებას, იმისთვის, რომ „ჩართულობა“ როგორც ასეთი, ისევე როგორც სასკოლო ფუნქციები იყოს ერთნაირად გასაგები მშობლებისა და მასწავლებლებისათვის.

მასწავლებელთა მოსაზრებები

- პედაგოგები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია განისაზღვროს პედაგოგიური მიდგომები და ეს მიდგომები იყოს იდენტური. იდეოლოგია და სტანდარტები ბავშვებთან მიდგომის უნდა იყოს ერთიანი, რომ სასკოლო სწავლება საბოლოო ჯამში იყოს ეფექტური.

> „ადრე არსებობდა არაჩვეულებრივი მეთოდი-სადამრიგებლო კლასის ყველა ბავშვის ოჯახი უნდა გაგვეცნო. სამეცადინო კუთხე უნდა გვენახა და შემდეგ უნდა გაგვეცნო ეს სხვა მასწავლებლებისათვისაც. ახლაც ასეთი სისტემა კარგია. ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გარეშე ვერ ვიმუშავებთ ბავშვებთან. პედაგოგიური მიდგომის განსასაზღვრათ ეს უმნიშვნელოვანესია.„

> „ეთიკა, ეტიკეტი მშობლის და მასწავლებლის (დამრიგებლის) კრიტერიუმები ერთი უნდა იყოს, ერთობლივი! მე მაგალითად თითქმის ყველა ოჯახს ვიცნობ და ფრაზებსაც კი იგივეს ვეუბნები რასაც მშობლები. ერთი და იგივე საზომი ერთეული უნდა ჰქონდეს მშობელს და მასწავლებელს“
> “ძალიან ეფექტური აღმოჩნდა ბავშვების მიერ საკუთარი მშობლების წაქეზება. მაგალითად, ერთ-ერთი ერთობლივი ღონისძიების ფოტოები ერთმა მოსწავლემ მეორეს რომ აჩვენა შემდეგ მისმა მშობელმა გამოიჩინა ჩართულობის ინიციატივა.”

> “ერთხელ ბავშვებს დავაწერინე რა გინდათ რომ ხდებოდეს სკოლაში თქო და მშობლები მინდა ჩაერთონო და ეს მერე მშობლებს წავუკითხე....გაჭრა.”

- სკოლის მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია, მოხდეს მასწავლებლების მხრიდან ჩართულობის ინიცირება, მიღებული შედეგის წახალისება და მშობლების მოტივირება, რის შედეგადაც სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობა იქცევა ბავშვის მოთხოვნილებად
- მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობის შედეგად მიღებული პოზიტივის დაფასება
- მასწავლებლების აზრით მნიშვნელოვანია პროექტების ინიცირება, რომელიც მშობლის ჩართულობის გარეშე ვერ გაკეთდება და მშობლის ჩართულობა იქნება აუცილებელი პირობა.

მშობელთა მოსაზრებები

- მშობლების ნაწილი თვლის რომ რაღაც ინსტიტუციური უნდა აწესრიგებდეს მათი ჩართულობის პროცესს, მაგრამ სამეურვეო საბჭოების მუშაობას მიიჩნევს ფორმალურად, არ მიიჩნევს სტრუქტურად, რომელიც საშუალებას აძლევს მშობელს, ჰქონდეს ჩართულობა სასკოლო პროცესებში.

„სამეურვეო საბჭოები რეალური რომ იყოს და გააგრძელოს ფუნქციონირება კარგი იქნებოდა. მშობლები, თემი უნდა მოიზიდოს წესით სამურვეო საბჭომ.“

- მშობლების აზრით, მოტივირება სასკოლო ჩართულობისათვის ვერ ხდება სკოლის მხრიდან.

„დემოტივირებული მშობელი სკოლის ბრალია. შეიძლება გამოვიყენოთ რესურსი და არ ვიყენებთ.”

“ჩემი აზრით, არც ევროპაში არ იქნებოდნენ მშობლები ასეთი ჩართულები, გარკვეული სისტემა რომ არ აწესრიგებდეს ამ პროცესს.”

“ამერიკაში უმაღლეს სასწავლებელში ეწყობა სპეციალური დღეები, სადაც მშობლები და ბავშვები ეცნობიან ერთმანეთს, ეს ძალიან ეფექტურია შემდგომი თანამშრომლობისათვის.”

მოსწავლეთა და ახალგაზრდების მოსაზრებები

მოსწავლეთა და ახალგაზრდების აზრით, მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში სასურველია, თუმცა დეფიციტური მოვლენაა. ასევე ახალგაზრდებს (განსაკუთრებით რეგიონებში) უჭირთ დახურულ სასკოლო სისტემაში შეღწევა.

ზოგადად მოსწავლეებს აქვთ მოთხოვნილება არსებობდეს არაფორმალური აქტივობები მშობელთა მონაწილეობით, და ამას ჰქონდეს თანამშრომლობითი ფორმა მშობელსა და მასწავლებლებს შორის. მათი აზრით ერთადერთი ფუნქცია, რომელსაც ასრულებს მშობლისა და მასწავლებლის კომუნიკაცია, არ უნდა იყოს ბავშვის დასჯა ნიშნის გამო.

მშობლებთან ერთად განხორციელებული, კლასგარეშე პროექტები არის სასურველი მოვლენა მოსწავლეთათვის.

პრობლემები და ბარიერები სკოლაში

სკოლაში არსებულ ძირითად პრობლემებზე საუბრისას ხშირ შემთხვევაში წინ მოდის **ინფრასტრუქტურული პრობლემები,** რომელსაც როგორც მშობლები, ისე მასწავლებლები და მოსწავლეები საკმაოდ მწვავედ აღიქვამენ.

შესაბამისად, იდეალურ სკოლაზე საუბრისას, პირველადი პრობლემების რიგში სახელდება ინფრასტრუქტურული პრობლემა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემა არ არის მხოლოდ ფუნქციონალური ხასიათის და აქვს გარკვეული ემოციონალური მახასიათებლებიც.

მთავარი არის ინფრასტრუქტურა იყოს კარგი, იმისთვის რომ სკოლაში ყოფნა მოსწავლისთვის, ისევე როგორც მასწავლებლისთვის იყოს სასიამოვნო და ჰარმონიული.

შესაბამისად პირველი ფაქტორი რომელიც მნიშვნელოვანია სკოლისათვის შეიძლება შემდეგნაირად გაიშალოს:

1. მოწესრიგებული და სასიამოვნო გარემო, რომელიც იძლევა საშუალებას რომ განვითარდეს ჰარმონიული ურთიერთობები

წესრიგი სკოლაში

რესპონდენტებს შორის, იკვეთება მოთხოვნილება, რომ ურთიერთობები სკოლაში იყოს მოწესრიგებული და სტრუქტურირებული. ურთიერთობები მოზომილი, შესაბამისად ეს ფაქტორები, აყალიბებს გარკვეულ მოთხოვნებს, როგორც მასწავლებლის, ისე სკოლის მენეჯმენტის და მშობლების ჩართულობის მიმართ.

> "მნიშვნელოვანია იყოს უსაფრთხო გარემო მასწავლებლებისთვის (არ დაითხოვონ) და მოსწავლეებისთვის (არ შეურაცხყოს მასწავლებელმა, ან თანატოლმა, არ იყოს ბულინგი)"

კომპეტენციის პრობლემა სკოლაში

მშობლებისა და მოსწავლეების მხრიდან, გარკვეულ შემთხვევებში იკვეთება მასწავლებლების კომპეტენციის პრობლემა. ანუ ის რომ არის მოსწავლეთა დისციპლინის ან თუნდაც ინტერესის ნაკლებობა, ძირითადად ხშირ შემთხვევაში მიიჩნევა მასწავლებლის მხრიდან საკითხით/ საგნით მოსწავლის ნაკლებად დაინტერესების პრობლემად, რაც თავის მხრივ იწვევს, ცუდ დამოკიდებულებას სასწავლო პროცესის მიმართ და ნაკლები ჩართულობის სურვილს.

მოსწავლეთა მიერ დანახული პრობლემები

მოსწავლეები ხშირ შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ სკოლისა და განათლების სისტემის მხრიდან მათ მიმართ არის არაერთგვაროვანი მიდგომა, ანუ სისტემას აქვს გარკვეული ხარვეზები, რომელიც პრობლემებს ქმნის ბავშვის დამოკიდებულებაში სკოლის მიმართ, და ზოგადად სწავლის მიმართ. სკოლის პროგრამა, საგამოცდო პროგრამა (CAT) და ჩასაბარებელი პროგრამა ხშირ შემთხვევაში არ არის თავსებადი ერთმანეთთან.

არ არსებობს კარგი საფუძველი პროფორიენტაციისათვის, ასევე იკვეთება სკოლების მხრიდან დაბალი აქტივობა მოსწავლეთა არაფორმალურ ღონისძიებებში ჩართვის კუთხით:

„სკოლა ვერც კი მატყობინებს არაფორმალური აქტივობების შესახებ“

ახალგაზრდების აღქმები სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებით

ზოგადად ახალგაზრდებს შორის, იკვეთება პრობლემები, რომელსაც ისინი წააწყდნენ, სასკოლოდან საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე გადასვლის შემდეგ, გამოცდების ჩაბარების ეტაპზე და ა.შ.

- ზოგადად სასკოლო განათლება ვერ ამზადებს მოსწავლეებს საკმარისად საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის, სკოლაში სწავლის პროცესში, ბოლო კლასებშიც კი, მოსწავლეებთან დამოკიდებულების პრინციპი არ იცვლება, მათ არ აქვთ დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის ის ხარისხი, რომელიც შემდგომ ეტაპზე, საუნივერსიტეტო ან უმაღლესი სწავლების ეტაპზე უნდა ჰქონდეთ, შესაბამისად მათი აზრით სკოლა მეტისმეტად ჩარჩოში მოქცეული და არაინოვაციურია
- სასკოლო განათლება არ უზრუნველყოფს მოსწავლის მზაობას ჩაბარების მიმართ, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სასკოლო განათლების პრობლემას.

ახალგაზრდებს შორის, ასევე იკვეთება პრობლემა, რომელიც სახელდება ასევე, მასწავლებლებისა და სხვა რესპონდენტების მხრიდან, კერძოდ კი, რეგიონებიდან მიგრაცია თბილისისკენ, რაც თავისთავად დაკავშირებულია ვაკანსიებისა და დასაქმების ადგილების დეფიციტთან რეგიონებში.

აღწერილობითი ანგარიში (თითოეული ფოკუსჯგუფის მოკლე ანგარიში)

კახეთი (სხვადასხვა სოფლები)

- გამოკითხული რესპონდენტები სკოლისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევენ **გამართული ინფრასტრუქტურის** არსებობას, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას, სკოლაში კომფორტის შეგრძნებისათვის

- ინფრასტრუქტურული პრობლემები იწვევს, შშმ პირებისათვის პროგრამების განხორციელების გართულებას
- ასევე მნიშვნელოვან საკითხად გამოიკვეთა, მასწავლებლების მხრიდან ობიექტურობა, ბავშვებთან ურთიერთობისას
- მნიშვნელოვანია წესრიგი სკოლაში, როგორც **შინაგანაწესის** ისე ზოგადი წესებისა და ეთიკის კუთხით
- გაკვეთილების ეფექტურობა, და ინტერესის გამოწვევა ბავშვებში, სახელდება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად, ისევე როგორც საჭიროებიდან გამომდინარე დიფერენცირებული მიდგომები ბავშვების მიმართ.

სასკოლო ცოხვრებაში ძირითადი ჩართულობის განხორციელება ხდება ტრადიციული ფორმებით, როგორიცაა:ღონისძიება, ლაშქრობა, ექსკურსიები.

ინფრასტრუქტურული პრობლემებიდან გამომდინარე, ასევე მშობლებს უწევთ ჩართულობა ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა: შეღებვა, ფარდების შეძენა და სხვა.
სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობაც ხშირად მოიაზრება ბავშვის მეცადინეობაში მშობლის მონაწილეობით.

მშობლების დემოტივაცია

- დემოტივირებული მშობელი სკოლის ბრალია
- შეიძლება გამოიყენებოდეს რესურსი და არ გამოიყენება .

მასწავლებლების კერძო ინიციატივების საფუძველზე, არის მშობელთა ჩართულობის გარკვეული მაგალითები:

“ძალიან ეფექტური აღმოჩნდა ბავშვების მიერ საკუთარი მშობლების წაქეზება. მაგალითად, ერთ-ერთი ერთობლივი ღონისძიების ფოტოები ერთმა მოსწავლემ მეორეს რომ აჩვენა შემდეგ მისმა მშობელმა გამოიჩინა ჩართულობის ინიციატივა.”

იმერეთი

- მნიშვნელოვან საკითხად მოიაზრება უსაფრთხო გარემოს არსებობა სკოლაში
- მნიშვნელოვნად მიიჩნევა სკოლაში წესრიგის არსებობა, რაც გამოხატული უნდა იყოს როგორც წესდებაში ისე სასკოლო ფორმებსა და სახელმძღვანელოებში
- მნიშვნელოვანია, როგორც ინფრასტრუქტურული წესრიგი ისე, სერვისები, როგორიცაა: სპორტი, აუზი, წრეები, ფსიქოლოგი
- რესპონდენტების აზრით, დგას მასწავლებლისადმი მოსწავლეების დამოკიდებულებისა და პატივისცემის პრობლემა.

ბავშვების მოტივირება

რესპონდენტების აზრით სკოლაში არსებული სისტემა არ განაპირობებს ბავშვის მოტივირებას, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის სწორი წარმართვისათვის.
არსებობს პოზიტიური არაფორმალური საქმიანობის გამოცდილებაც, როგორიცაა:
სკოლის ნაკვეთი- ბავშვები რგავდნენ ხეებს შრომის გაკვეთილებზე, განათლების სამინისტროს მიერ გამოყოფილი სახსრების მეშვეობით.

ასევე, პოზიტიურ მოგალითებად მოიაზრება

- პროექტები სხვადასხვა თემატიკაზე
- ვიზიტები კინოთეკაში, გასვლითი ღონისძიებები
- ექსკურსიები მშობლების ფინანსური დახმარებით

სამცხე-ჯავახეთი

ძირითად პრობლემად მიიჩნევენ სასკოლო ჩართულობას და მოსწავლის სკოლის მიმართ დამოკიდებულებას, რესპოდენტების მოსაზრებით, პირველკლასელები პოზტიური დამოკიდე-

ბულებით იწყებენ სწავლას სკოლაში და რეალურად ამ დამოკიდებულების გაქარწყლება ხდება 12 წლის განმალობაში, შესაბამისად მე-12 კლასში ფაქტიურად არ არსებობს ხალისი და პოზიტიური დამოკიდებულება სკოლის მიმართ. ამისათვის კი საჭიროდ თვლიან, რომ

- სიტუაცია უნდა შექმნას შესაბამის კლასში
- იყოს საინტერესო გაკვეთილები

სკოლა უნდა იძლეოდეს საშუალებას

- გართობისთვის და განტვირთვისთვის
- სხვადასხვა სასკოლო ინტერესების გაღვივებისათვის
- წრეებისა და ჰობის რეალიზაციისათვის
- უნდა იძლეოდეს საკმარის განათლებას, რომ არ იყოს რეპეტიტორებთან მომზადების საჭიროება

სკოლა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- მოქალაქის მთავარი უნარ-ჩვევები ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს
- მომავალი ცხოვრებისათვის მზაობას გამოუმუშავოს მოსწავლეებს დამამთავრებელ საფეხურზე მაინც

ჩართულობის გამოხატულების ფორმები

- მშობელთა კრება, ქეიფი, ბანკეტი

ზოგადად მშობელთა ჯგუფი თვლის, რომ მშობელის ჩართულობა დაბალია, საბოლოო ჯამში ყველაფერს მასწავლებელს და სკოლას აბრალებს.

მცხეთა-მთიანეთი

სკოლის მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევა

- წესრიგი
- სასკოლო განათლებაში ნათელი, იერარქიული სტრუქტურის არარსებობა
- ქცევის წესების არარსებობა ყველა მხარისათვის
- მოსწავლეთა დემოტივაცია
- ფიზიკური აღზრდის შეუძლებლობა და შესაბამისი ინფრატსრუქტურა
- პრაქტიკული განათლების დეფიციტი

მნიშვნელოვან განსახორციელებელ ქმედებებად მიიჩნევა:

1. პედაგოგთა გადამზადების საჭიროება
2. მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა (ინტერესის გაღვივება)
3. სამეურვეო საბჭოს ფუნქციონირება და არა მხოლოდ ფურცელზე არსებობა
4. ქმედითი თვითმმართველობა
5. ინფრასტრუქტურა/ლაბოროტორიები
6. მშობელთა კრებების ახალი და უფრო ეფექტური ფორმის შემუშავება
7. სკოლის ღიაობა, როგორც ახალი მასწავლებლების ისე ახალი ინიციატივების მიმართ თემიდან

მიუხედავად ზოგადად დაბალი ჩართულობისა, სკოლაში ყოფილა კერძო ინიციტივების განხორციელების პრაქტიკა, კერძოდ “რა, სად როდის” და მანსანკანის გუნდების შექმნა. თუმცა სკოლა დიდი ღიაობით არ ხასიათდებოდა ამ ინიციატივების მიმართ.

თბილისი 1

ახალგაზრდები, მოსწავლეები

მოსწავლეებს და ახალგაზრდებს იდეალურ სკოლად მიაჩნიათ სკოლა ნაკლებად ფორმალური გარემოთი და მეტი მოტივაციით, ანუ მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ სურვილი და ინტერესი სწავლის და არა მხოლოდ ვალდებულება, რის მაგალითადაც მოჰყავთ ფინეთის სკოლა, ასევე მნიშვნელოვანია:

- კარგი დამოკიდებულებები მასწავლებლებს და მოსწავლეებს შორის
- ობიექტური მასწავლებლები
- სინთეზი-საგნებისგან მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება
- ინდივდუალური მიდგომა
- აქტიური თვითმმართველობა და მოსწავლეების ეფექტური ჩართულობა
- კვალიფიციური პედაგოგები
- ინფრასტრუტქურა
- სკოლის მხირდან მოსწავლის მომზადება უმაღლესი განათლებისათვის
- არაფორმალური განათლების არსებობა სასკოლო სივრცეში
- რეპეტიტორების სისტემის სასკოლო განათლებით ჩანაცვლება
- არჩევითი საგნობრივი გაკვეთილები
- ტექნიკური საგნების უკეთესი სწავლება

ჩართულობის პოზიტიური მაგალითები

მშობელთა თვითინიციატივით შეიქმნა საბჭოები მასწავლებლების და მშობლების. სკოლებთან გაერთიანდნენ „მხიარული სტარტები“, „რა, სად, როდის“ თვითდაფინანსებით.

მოხდა გრანტის მოპოვება ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის შესწავლის პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ. ასევე კათედრებმა ჩაატარეს კონფე-

რენციები კარგი სიმბოლური საჩუქრებით

- გასვლითი ღონისძიებები
- სასკოლო ოლიმპიადები
- ჩემპიონატები

თბილისი 2

მასწავლებლები, მშობლები

სკოლაში ძირითადი, მნიშვნელოვანი და მოსაგვარებელი საკითხია, ერთის მხრივ, რომ პროფესიონალები არ ტოვებდნენ სკოლას, ანუ იყვნენ მოტივირებულნი, რომ იქ იმუშაონ, ხოლო მეორეს მხრივ ბავშვები იყვნენ მოტივირებულნი, რომ სკოლაში იარონ.
ასევე მნიშვნელოვანია;

- ინფრასტრუქტურა
- უცხოეთის სკოლებთან კონტაქტები
- განათლების სამინისტროსგან დახმარება სკოლის გათანამედროვებისათვის.

მნიშვნელოვანი პრობლემებია:

- სწავლის დონე, უმჯობესია ცოტა და კარგად იცოდეს
- ბულინგი სკოლებში

შიდა ქართული

სკოლისათვის მნიშვნელოვან და მოსაგვარებელ პარამეტრებს წარმოადგენს:

- წესრიგი სკოლაში
- სწავლის ხარისხი
- ინფრასტრუქტურა

მშობლის ჩართულობის მისაღები მექანიზმებია

- კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები ან ტელეფონით საუბრები
- რესპონდენტების შეფასებით: ვისი მშობელიც ჩართულია ბავშვის ცხოვრებაში ის ბავშვი უფრო წარმატებულიცაა
- კონტროლი, სისტემატიური ზედამხედველობა, საქციელის კონტროლი.

ასევე მნიშვნელოვანია და ხორციელდება ერთობლივი პროექტები ბავშვებთან ერთად, რაც თავის მხირვ ამოტივირებს ბავშვებს ჩაერთონ პროექტებში არა მხოლოდ სკოლის ფარგლებში.

მშობლების პოზტიური ჩართულობის მაგალითებია, როდესაც გარკვეული საჭიროებების შევსება სკოლისათვის ხდება მშობლის შესაძლებლობებიდან და უნარებიდან გამომდინაე (რუქის დახაზვა კლასისათვის).

რესპონდენტები თანხმდებიან, რომ მნიშვნელოვანია მასწავლებლების აქტიურობა, იმისთვის, რომ იყოს ჩართულობა მშობლის მხრიდან.

ასევე, რესპონდენტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, სკოლამ შექმნას ჩართულობის შესაძლო პატერნები მშობლებისათვის.

ფშავ-ხევსურეთი

ჩარგლის სკოლა, მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, აღმოჩნდა განსხვავებული. შესაბამისად პრობლემას წარმოადგენს ბავშვების სიმცირე, 5 ბავშვი.
პრობლემატურია, რომ

- კლასელები არ ჰყავთ
- გასართობის ნაკლებობაა
- ძალიან დაბალია სოციალიზაცია

მშობლების ჩართულობა

1. 5 ბავშვში ადვილია, ყველა ერთმანეთს იცნობს
2. ყოველდღიური კონტაქტი მასწავლებელთან
3. ექსკურსიები

ქვემო ქართლი

- სკოლაში მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევა ინფრასტრუქტურული პრობლემები, რომელიც სკოლის წინაშე დგას
- ასევე პრობლემად აღიქმება განათლების ზედმეტი ფორმალიზებულობა და ნიშნებთან დამოკიდებულება
- კადრების კვალიფიკაციის ნაკლებობა
- სიახლეების დეფიციტი.

სამეურვეო საბჭოები მიიჩნევა, რომ რეალურ გავლენას ვერ ახდენენ მხოლოდ ფორმალურ ფუნქციას ახორციელებენ სკოლაში.

სამუერვეო საბჭოების უფუნქციობა სკოლას ხდის ჩაკეტილს თემისათვის.

მშობლების ჩართულობა დამოკიდებულია მასწავლებელბისა და დირექტორის კეთილ ნებაზე.

> „ჩემი შვილის მასწავლებელი ახერხებს ყოველდღე ჩამაყენოს საქმის კურსში. რა გააკეთა ჩემმა შვილმა. ეს მთლიანად დამრიგებლის დამსახურებაა“.

მშობლებისათვის მისაღები პრაქტიკაა დამხმარე მასწავლებლის სახით მშობლის ჩართვა, თუმცა ამის შესაბამისი მზაობა სკოლაში არ არსებობს.

მექანიზმები მშობლების ჩართულობისათვის, რესპონდენტების აზრით, საჭიროა:

- სავალდებულო მექანიზმი მშობლის ჩართულობისთვის დააკანონოს თვითონ სამინისტრომ.
- სპეციალური პროგრამა მშობლებისთვის სამინისტროში იყოს და აიღონ უცხოური მაგალითი და გამოიყენონ სპეციალური სახელმძღვანელოები მშობლებისთვის ფსიქოლოგიაზე, პედაგოგიკაზე.

თქვენი ჩართულობის წარმატებული მაგალითები

- მშობლებმა თავისი ინიციატივით ჩაატარეს ტრეინინგები თავიანთი კომპეტენციებიდან გამომდინარე
- გააკეთეს საერთო პროექტები

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მშობელთა კრება არ არის საკმარისი, მშობელთა ჩართულობისათვის:

> „მშობელთა კრებები ერთადერთი საშუალებაა გაიგო შვილის მდგომარეობა, მე ვეცადე დამემკვიდრებინა მშობელთა მონიტორინგის სისტემა, ვამოწმებდით გაკვეთილებს, მაგრამ არ იმუშავა. სხვა მშობლები არ აქტიურობდნენ.“

კახეთი (სხვადასხვა ქალაქები)

სკოლისთვის მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხად მიიჩნევა ინფრასტრუქტურა:

- სკოლა აღჭურვილი უნდა იყოს სპორტდარბაზის ინვენტარით
- ბიბლიოთეკა უნდა იყოს სრულფასოვანი

მნიშვნელოვანია პრაქტიკული გასვლითი გაკვეთილები, ასევე საგნობრივი კლასები (ე.წ. კაბინეტური სისტემა). ასევე განათლების დაბალი ხარისხი, რაც თავის მხრივ ქმნის რეპეტიტორებთან მომზადების საჭიროებას, ფინანსურ პრობლემებს და მოქმედებს ასევე ბავშვის დროით რესურსზე.
მნიშვნელოვანია იყოს:

- ტრენინგები, არაფორმალური განათლებაც ძალიან მნიშვნელოვანია.
- არჩევითი საგნები სკოლებში, პროფორიენტაციის პრობლემაა
- დიფერენცირებული სწავლება 9 კლასის შემდეგ
- პროფესიული სასწავლებლების მიმართ დამოკიდებულების შეცვლა

აჭარა

სკოლის პრობლემას წარმოადგენს

- მოსწავლეების სწავლის დაბალი მოტივაცია
- ინფრასტრუქტურული პრობლემები
- რამდენიმე ცვლიანი სწავლება სკოლაში
- თანამედროვე მიდგომების და მეთოდების გამოყენება მასწავლებლებს შორის, რაც თავის მხრივ გამომდინარეობს მასწავლებლის დაბალი ანაზღაურებიდან
- ბავშვების დიდი რაოდენობა კლასში
- ბავშვების მოტივატორების არარსებობა
- კლასიკური და არაეფექტური მშობელთა კრებები
- კლასების და საგნობრივი კაბინეტების დეფიციტი

დანართი #1

კვლევის სახელმძღვანელო კითხვარი

კვლევის ამოცანები

- გამოიკვეთოს მონაწილეთა წარმოდგენები/აზრი ადგილობრივ დონეზე ზოგად განათლებაში არსებული გამოწვევების/პრობლემების შესახებ (განსაკუთრებული აქცენტი, სკოლის მართვის პროცესებში მშობელთა თანამონაწილეობაზე);
- მშობელთა ჩართულობის კუთხით გამოიკვეთოს კარგი პრაქტიკის მაგალითები, კონკრეტული შემთხვევები;
- გამოვლინდეს ადგილობრივ დონეზე აქტიური მოქალაქეები, სტუდენტები, ორგანიზაციები, რომლებსაც აწუხებთ ზოგადი განათლების პრობლემები.

	გაიდის ძირითადი საკითხები	მიზანი
1.	შესავალი - მოდერატორთან ჯგუფის გაცნობა, მიზნების დასმა, ჯგუფზე მუშაობის წესების ახსნა, კონფიდენციალურობაში დარწმუნება.	კონსტრუქციული დისკუსიისათვის ჯგუფის მობილიზება
2.	ვიდრე გადავიდოდეთ ძირითად საკითხებზე, მოდით გავიცნოთ ერთმანეთი. ამისათვის, გთხოვთ მომიყვეთ თქვენს შესახებ, მითხარით თქვენი სახელი, ასაკი და საყვარელი საქმიანობა....	ჯგუფის წევრების გახსნა დისკუსიისადმი (10 წუთი)
3.	დღეს ჩვენი საუბრის ერთ–ერთი ძირითადი თემაა სკოლა. პირველ რიგში, როდესაც ვამბობთ სიტყვას სკოლა, რა ასოციაციები გიჩნდებათ, რა მოგდით თავში პირველი ამ სიტყვის ხსენებისას?	ბლოკის შესავალი (იდეალური სკოლა)
4.	მოდით აღვწეროთ იდეალური სკოლა. როგორია იდეალური სკოლა, რა არის ის ძირითადი მახასიათებლები, რითიც იდეალური სკოლა უნდა ხასიათდებოდეს?	დღეის მდგომარეობით არსებული ძირითადი ნაკლოვანებები (15-20 წუთი)
5.	ახლა, რომ ვისაუბროთ, რეალურად იმ სკოლებს რომელთანაც თქვენ შეხება გაქვთ, რა განასხვავებს იდეალურისაგან, რა არის ის ძირითადი პარამეტრი რაც სკოლას აკლია?	
6.	შეიძლება ასეთი პარამეტრი იყოს ბევრი, შესაბამისად მოდით გავაკეთოთ რანჟირება ყველაზე მნიშვნელოვანიდან ნაკლებ მნიშვნელოვანისკენ.	

7. რამდენად ხართ ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში? მომიყევით თქვენი პირადი მაგალითები.
8. ვინც თვლით, რომ ნაკლებად ხართ ჩართულები სასკოლო ცოხვრებაში, იქნებ ვისაუბროთ იმ ძირითად ბარიერებზე, რაც ამ მიმართულებით არსებობს?
9. რა პრობლემებს გამოყოფდით იმ სკოლაში, რომელშიც თქვენი შვილი სწავლობს/ თქვენ სწავლობთ/ მუშაობთ?
10. რა პრობლემებია რეგიონში თემში, თქვენთვის როგორც მშობლისთვის/ მოსწავლისთვის/ მასწავლებლისთვის/ ახლაგაზრდისთვის?
11. თუ შეიძლება თქვენს მიერ ჩამოთვლილი პრობლემები დავალაგოთ რიგითობის მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვანიდან ნაკლებად მნიშვნელოვანისკენ.

არსებული პრობლემები/ სკოლა/ რეგიონი/ თემი (25-30 წუთი)

12. თუ გაიხსენებდით, სკოლის ან მშობლების ინიციატივებს, რომლის ფარგლებშიც მოხდა მშობლების ჩართვა სასკოლო ცოხვრებაში?
13. გთხოვთ დეტალურად მოყვეთ თითოეული ასეთი შემთხვევის შესახებ, რა იყო მიზეზი, რამდენად ადვილი ან რთული იყო, რამდენად მოხდა სკოლის მხირდან მსგავსი ინიციატივის მხარდაჭერა?
14. როგორი ეფექტი გამოიღო ჩართულობამ, რა პოზიტიური ცვლილებები მოჰყვა მსგავს ინიციატივებს?
15. რა ტიპის ბარიერები არსებობს ჩართულობის მხრივ?
16. რამდენად ეფექტურია სამეურვეო საბჭოების მუშაობა?
17. როგორია ახალგაზრდების როლი, მათი ჩართულობა, ზოგადად თემის და კონკრეტულად სკოლის ცოხვრებაში?
18. რამდენად ხართ თქვენ ქმედითუნარიანები, არსებული პრობლემების თუ გამოწვევების მოგვარებაში?
19. თუ არ გრძნობთ რომ ქმედითუნარიანები ხართ, რა არის ამის ძირითადი ბარიერები?
20. რა პოზიტიური ცვლილებების შეტანა შეგიძლიათ თქვენ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი ჩართულობა სასკოლო ცოხვრებაში გაიზრდება?
21. როგორია, თქვენი აზრით, თქვენი ჩართულობის იდეალური ვარიანტი?
22. რას ურჩევდით სკოლის ადმინისტრაციას, რა არის საჭირო, რომ გაკეთდეს მათი მხირდან, რომ თქვენი ჩართულობა გაიზარდოს და გახდეს უფრო ეფექტური?
23. რა ფორმატი, შეიძლება არსებობდეს ჩართულობის უზრუნველყოფისა და ეფექტიანობისათვის?

ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში/ ინიციატივები / პოზიტიური მაგალითები 30-35 წუთი

24. დიდი მადლობა. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, მობრძანებისთვის და საინტერესო საუბრისათვის.

GICDE
საქართველოს დეპარტამენტისა
და განათლების ინსტიტუტი

თბილისი, 2017

განათლება
ყველასათვის
საქართველო